



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუნელი (Crataegus)



კუნელი (Crataegus), ეკლიანი ხეებისა და ბუჩქების გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მოიცავს 200- მდე სახეობას (სხვა მონაცემებით 1000-ზე მეტ სახეობას), რებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერსა და ნაწილობრივ სუბტროპ. ჰავის ზონაში (ძირითადად ჩრდ. ამერიკაში).

კუნელი

კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში იზრდება 9. მათგან კავკასიაში (C. caucasica) და კოლხეთის (C. colchica, C. pentagyna subspecies pentagyna) ენდემებია, პირველი სამხრ.-აღმოსავლეთ კავკასიისა, მეორე - კოლხეთის. მოშენებულია ზოგიერთი ველური კ-ც. ინტროდუცირებულია აგრეთვე 30-მდე სახეობა. ველური სახეობიდან ჩვენში უფრო მეტად გავრცელებულია შავი, ანუ ხუთბუშტუკოვანი კ. (C. pentagyna) და ირიბჭამფოთოლაკიანი კ. (C. curvisepala,). კ. საქართველოში ყველგან იზრდება, ბარიდან მოკიდებული მთის შუა სარტყელამდე, მშრალ და ღია ფერდობებზე, გამეჩხერებულ ტყეებსა (ქვეტყე) და ნაკაფებზე, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელშიც აღწევს. გვხვდება უფრო ბუჩქნარების - კუნელიანების სახით, რიც მეტწილად ტყის მოქრის შედეგად ჩნდება და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. კ. ერთნაირად ხარობს სხვადასხვა სახის ნიადაგზე, თუმცა უფრო მეტად ღრმა, საშუალოდ ტენიან და დაწრეტილ ნიადაგზე ვრცელდება. ყვავილობს აპრილ-ივნისში. ნაყოფი მწიფდება სექტ.-ოქტ.-ში. საკმაოდ ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტითაც. ცოცხლობს 200-300 წელს. დეკორატიულია. გამოსადეგია ცოცხალ ღობედ; მშრალი ფერდობების გასამწვანებლად;

ვაშლის, მსხლის, კომშის, ბლმარტლის საძირედ. აქვს მკვრივი და მაგარი ღია ვარდისფერი ან მურა-მოწითალო მერქანი, რ-საც იყენებენ წვრილმანი ნივთების დასამზადებლად, ნუჟრებს – საღურგლოდ. ზოგი სახეობის (ყ ა მ ბ რ ო - C. pontica; კ ნ ა პ ა - C. orientalis და სხვ.) ნაყოფი იქმება. ზოგან გამხმარ ნაყოფს ფქვავენ და პურის ფქვილში ურევენ. ნორჩი ფოთლების ნაყენისგან ჩაისმაგვარი სასმელი მზადდება.

კ. თაფლოვანი მცენარეა. პოპულარულია არა მარტო ტრადიციულ, არამედ კლასიკურ მედიცინაში. მას აქტიურად იყენებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, ხელს უწყობს გულის კუნთის მუშაობას, კარგ ეფექტს იძლევა პიპერტონიის დროს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აქვეითებს, სისხლში მავნე ქოლესტერინის დონეს, ასტიმულირებს ფარისებრი ჭირკვლის ფუნქციას. კ-ის ნაყოფისაგან ამზადებენ კომპოტს, ჭემს, პიურეს, ასევე – „უმ მურაბას“ (ინახავენ შაქართან ერთად).

ვ. მირზაშვილი